

The dichotomy of Georgia-EU relations and future perspectives

Irakli Gabelia¹

PhD student, Caucasus International University

Ketevan Grdzelidze²

PhD student, Free University of Tbilisi

ABSTRACT

Despite the tectonic political shifts occurring in recent times, the European Union (EU) remains one of the strongest actors in the international arena. Consequently, its position on various ongoing processes is important and worth consideration. The processes occurring simultaneously with the 2022 Russo-Ukrainian conflict resulted in political and economic fluctuations. Sanctions imposed by the EU on the aggressor country have had a local impact as well, which directly affected the EU currency itself. Consequently, a well-founded fear and threat arose that, like in 2008, recessionary events would occur again and would have a great impact on member and non-member states.

Considering the above-mentioned, it is important to conduct an in-depth review of the political and security aspects of relations and the attitude of the European Union toward Georgia and the states of the region in general.

The paper provides a bilateral analysis of Georgia's road towards accession to the European Union and possible prospects for further development. The latter is also the main purpose of the research.

With the use of qualitative methodologies, namely case study and content analysis, the research reviews the overall situation in the region. For these purposes, various primary and secondary sources were analyzed in-depth. Based on the latter a conclusion was drawn, which is in full compliance with the purpose of the research.

In order to develop an alternative vision and perspectives on the topic, the research relies on a theory created within the Georgian scientific field – Relativistic-Quantum Noology. This allows us to see the future perspectives of Georgia-EU relations in a new light.

Within the framework of the research, the dynamics of the relations between Georgia and the EU are reviewed in depth, an important aspect of which is the relations of the EU itself and the coherent analysis of these relations, which implies the development of security guarantees with the countries of the region itself. To implement the above-mentioned in practice, it is necessary to review not only the specific country but also the overall situation in the region.

¹ irakli.gabelia@ciu.edu.ge

² k.grdzelidze@gmail.com

Consequently, the second chapter and its' subchapters of the paper are devoted to a review of these issues, namely a discussion of EU-Georgia relations and the EU's standing on the security issues in the region. The third chapter outlines the possibilities of the fulfilment of EU requirements, whereas the fourth chapter is devoted to a discussion of perspectives on Georgia's membership of the EU and possible scenarios in case of such membership.

Keywords: *Georgia, EU, Caucasus Region, Relativistic Quantum Noology.*

საქართველოს ევროკავშირში გაწევრების ანალიზი და სამომავლო პერსპექტივები

ირაკლი გაბელია
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქეთევან გრძელიძე
დოქტორანტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

თანამედროვე პერიოდში მომხდარი ძლიერი პოლიტიკური ძვრების მიუხედავად, ევროკავშირი კვლავაც ერთ-ერთ ძლიერ აქტორად ფიქსირდება საერთაშორისო ასპარეზზე. შესაბამისად, მისი პოზიცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. რუსეთ-უკრაინის 2022 წლის კონფლიქტის პარალელურად მიმდინარე პროცესებმა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური რყევები გამოიწვია კონტინენტზე. სანქციებმა, რომელიც ევროპული გაერთიანების მხრიდან დაუწესდა აგრესორ სახელმწიფოს, ასახვა ადგილობრივ დონეზეც ჰპოვა, რაც პირდაპირპროპორციულად ევროკავშირის ოფიციალურ ვალუტასაც შეეხო. შესაბამისად, გაჩნდა რეალური შიში და საფრთხე იმისა, რომ კვლავ 2008 წლის მსგავსად, რეცესიულმა მოვლენებმა იჩინოს თავი, რაც როგორც წევრ, ისე არაწევრ სახელმწიფოებზეც უდიდეს გავლენას მოახდენს.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია სიღრმისეულად მიმოვიხილოთ ევროკავშირის ურთიერთობები და დამოკიდებულება საქართველოსა და ზოგადად რეგიონის სახელმწიფოებთან პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტებში.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ევროკავშირში გაწევრების ორმხრივ ანალიზი და განვითარების შესაძლო პერსპექტივები, რომელიც ასევე კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

კვლევის ფარგლებში თვისებრივი მეთოდებით, კერძოდ, case study-თა და შინაარსობრივი ანალიზით წარმოჩინდა რეგიონში არსებული სიტუაცია, რომლისთვისაც ჩატარდა სხვადასხვა ტიპის პირველადი და მეორეული წყაროების სიღრმისეული ანალიზი, აღნიშნულის საფუძველზე კი შემუშავდა დასკვნა, რაც სრულ შესაბამისობაშია ნაშრომის მიზანთან.

კვლევა ალტერნატიული ხედვისა და პერსპექტივების განვითარების მიზნით ეყრდნობა ქართულ სამეცნიერო წიაღში შექმნილ თეორიას - კვანტურ-რელატივისტურ ნოოლოგიას, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სამომავლო ხედვების ახლებურად დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს.

კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად მიმოხილულია საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა, რომლის მნიშვნელოვან ასპექტს თავად ევროკავშირის ურთიერთობა და ამ ურთიერთობათა თანმიმდევრული ანალიზი წარმოადგენს, რომელიც საკუთრივ რეგიონის ქვეყნებთან უსაფრთხოების მიმართულებით გარანტიების შემუშავებას გულისხმობს. აღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად აუცილებელია არა კონკრეტული სახელმწიფო განყენებულად, არამედ რეგიონში არსებული მდგომარეობაც მიმოვიხილოთ.

შესაბამისად, ნაშრომის მეორე თავი და მისი ქვეთავები მიეძღვნა ამ საკითხებს, კერძოდ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მიმოხილვას და რეგიონში უსაფრთხოების საკითხების შესახებ ევროკავშირის პოზიციონირებას. მესამე თავში განხილულია ევროკავშირის მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობები, ხოლო მეოთხე თავი დათმობილია საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივებს და წევრობის შემთხვევაში შესაძლო სცენარებს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ევროკავშირი, კავკასიის რეგიონი, კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგია.

1. შესავალი

2022 წლის 20 ივნისს, საღამოს 20 საათზე საქართველოს დედაქალაქის ცენტრალური ქუჩა დემონსტრანტებით გაივსო. ალ-ჯაზირას ინფორმაციით პარლამენტის წინ “საქართველოს ევროპული მომავლის მოთხოვნით” 60 000-მდე ადამიანი შეიკრიბა (Al-Jazeera, 2022), ხოლო ქართული საინფორმაციო წყარო “ნეტგაზეთის მიერ დემონსტრანტების რაოდენობის მიახლოებითი დათვლით, მათი რაოდენობა მინიმუმ 120 ათასი, მაქსიმუმ კი — 160 000 იყო” (Netgazeti, 2022). მიუხედავად იმისა, რამდენი ადამიანი იყო რეალურად შეკრებილი, 20 ივნისის აქცია 2012 წლის შემდგომ ყველაზე მასშტაბური შეკრება/პროტესტი იყო რუსთაველის გამზირზე. აქციის ორგანიზება, სამოქალაქო მოძრაობა “სირცხვილია”-ს მეთაურობით ევროკომისიის გადაწყვეტილებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. ეს

შეკრება დემონსტრანტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე დროებითი უარის თქმის შემდეგ გახდა.

2022 წლის 3 მარტს, უკრაინისა და მოლდოვის კვალდაკვალ საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე გააკეთა განაცხადი, თუმცა ეს გადაწყვეტილება მოულოდნელობას არ წარმოადგენდა (European Commission, 2022b), ვინაიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკის გაცხადებულ კურსს წლების განმავლობაში ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამავდროულად, 2020 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე გააკეთებდა განაცხადს (ზალკალიანი, 2020). ცალსახაა, რომ 2022 წელს უკრაინაში დაწყებულმა ომმა აღნიშნული პროცესი მკვეთრად დააჩქარა, ისევე როგორც ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოები და რეგიონიც, რომელშიც მათ უწევთ ოპერირება.

კვლევის მიზანს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების განვითარების ანალიზი და შესაძლო განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება წარმოადგენს. საქართველოში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციისა და ურთიერთგამომრიცხავი ნარატივების გათვალისწინებით, აუცილებელია დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ საქართველოს მიერ გავლილი ევროინტეგრაციის გზის ფაქტობრივი მიმოხილვა და შესაბამის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული კონიუნქტურული სიტუაციის ერთ პრიზმაში წარმოჩენა, აღნიშნული გამოხატულია სიმთელის მომენტის დანახვაში, რომელიც სცდება რეგიონულ მასშტაბს და გლობალურ ხასიათს იძენს.

2. მასალები და მეთოდები

2.1 საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლე ისტორია

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ჩამოყალიბება 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე დაიწყო, თუმცა ოფიციალურად საქართველო მხოლოდ 2004 წლიდან გახდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (European Neighborhood Policy) წევრი. 2009 წლის პრადის სამიტის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (Eastern Partnership Initiative) შეიქმნა, რომლის წევრობის

პატივი საქართველოსაც ხვდა წილად. 2010 წლიდან კი დაიწყო მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობისა (DCFTA) და ასოცირების ხელშეკრულების (AA) შესახებ, ასოცირების ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოეწერა და სრულად ძალაში 2016 წლიდან შევიდა (Embassy of Georgia to the United States of America, 2018).

ასოცირების ხელშეკრულების მიზანი და მასზე მიბმული ვალდებულებები საქართველოს კიდევ უფრო დაახლოება გახლდათ ევროკავშირთან და მის წევრ ქვეყნებთან. ასოცირების ხელშეკრულების არაპირდაპირ მიზნად შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს მომზადება წევრობის განაცხადისთვის, რაც თავის მხრივ მოიცავდა ქართული კანონმდებლობის, რეგულაციების, ეკონომიკური და სხვა ინსტრუმენტების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირება ყოველთვის და ცალსახად არ ნიშნავს ევროკავშირის წევრობის გზაზე დადგომას. ამის მაგალითებია, ისრაელთან, ტუნისთან, ალჟირსა და სხვა ქვეყნებთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებები. არც ერთ ჩამოთვლილ ქვეყანას არ აქვს ევროპული ასპირაციები, მაგრამ მათი ასოცირების ძირითად ამოცანას ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენს ევროკავშირთან, ისევე როგორც წვდომას ევროკავშირის ერთიან, რეგულირებულ ბაზართან. აღნიშნულის კიდევ ერთი მაგალითი აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსია, რომლებიც ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობენ, მაგრამ რეალურად მათ არ აქვთ არც ასოცირების ხელშეკრულებები და არც ევროინტეგრაციის შორსმიმავალი გეგმები. შესაბამისად, არც ერთი ეს ინსტრუმენტი წევრობის აუცილებელ კომპონენტს არ წარმოადგენს.


ასოცირების ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად ოფიციალურ ბრიუსელთან კონსულტაციების შედეგად საქართველოში ხდებოდა ასოცირების სამ წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებსაც შემდგომ სამთავრობო ინსტიტუტებისა და სამართლებრივი საფუძვლების განვითარების ყოველწლიური გეგმები ეფუძნებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს გარდა ჩართულები არიან უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს ექვსი სახელმწიფო თავისთავად 2 ჯგუფად დაიყო. ერთი ჯგუფში აღმოჩნდა ე.წ. “ასოცირებული ტრიო”: საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, ხოლო მეორე ჯგუფში ბელარუსი, აზერბაიჯანი და სომხეთი - ქვეყნები, რომლებსაც შედარებით ნაკლები პროგრესი ჰქონდათ ამ პროცესში. გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (Civil Society Forum), რომლის მიზანს, გარდა სხვადასხვა პროექტების განხორციელებისა და არასამთავრობო აქტორებს შორის თანამშრომლობის ქსელის

შექმნისა, ასევე ყოველწლიური ანგარიშების შექმნა წარმოადგენდა ქვეყნების პროგრესთან დაკავშირებით, რომელსაც EaP Index ეწოდება.

EaP Index-ის ფარგლებში ხდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსის - მიერ მიღწეული შედეგების და ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შეფასება სხვადასხვა ასპექტებით. უნდა აღინიშნოს, რომ EaP Index მანამდეც გამოიცემოდა, თუმცა 2011 წლიდან, ანუ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ჩამოყალიბების შემდგომ, უკვე სრულად პარტნიორი ქვეყნების პროგრესის შეფასებას მიემდვნა. ინდექსის ფარგლებში ექვსი ქვეყნის მიერ “კარგი მმართველობის” მხრივ მიღწეული შედეგების შეფასება ხდება, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვა, მდგრადი განვითარება და პოლიტიკის/კანონმდებლობის ევროკავშირთან შესაბამისობაში მოყვანა (Eastern Partnership Civil Society Forum, 2022). ჯამში გამოცემულია 8 შეფასება, რომელშიც მიმოხილულია ევროკავშირთან ინტეგრაციისა და დაახლოების სხვადასხვა ასპექტები.

ინდექსის შექმნიდან წლების განმავლობაში საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში რეგიონის ლიდერს წარმოადგენდა კავშირების, თანამშრომლობისა და აპროქსიმაციის პროცესში. რა თქმა უნდა, არსებობდა ხარვეზები, მაგრამ როგორც ასოცირების სამოქმედო გეგმების შემუშავება-შესრულების, ისე უშუალოდ უწყებრივი და ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში საქართველო მუდმივად უსწრებდა მის ჯგუფში მყოფ მოლდოვასა და უკრაინას. მაგალითად, 2018-2019 წლის ინდექსის ფარგლებში შეფასდა ევროკავშირთან კავშირების გაღრმავების საკითხი. ეს გულისხმობდა აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, მოქალაქეებსა და მთავრობებს შორის ჩამოყალიბებული საერთაშორისო კავშირების შეფასებას სამი მიმართულებით: **საერთაშორისო უსაფრთხოება, პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა (1); სექტორული თანამშრომლობა და სავაჭრო ნაკადები (2); მოქალაქეები ევროპაში (3).** როგორც თითოეული ამ მიმართულებით, ასევე ზოგადად საქართველოს ჰქონდა საგრძნობი წინსვლა, რაც აისახა საერთო მონაცემებზეც და მიუხედავად მისი გეოგრაფიული სიშორისა (რომელიც უფრო მეტად აისახა სავაჭრო ნაკადების ასპექტში), ქვეყანამ შეინარჩუნა ჯგუფის მოწინავე პოზიცია. კვლევის ზოგადი შედეგები მოცემულია #1 ფოტოზე.



ფოტო #1. EaP Index 2018-2019-ის ფარგლებში შეფასებული კავშირების ცხრილი. (Eastern Partnership Civil Society Forum, 2020, p.22)


უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირებული ტრიოს (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) ევროკავშირთან დაახლოებას საკანონმდებლო და ეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის, ასევე ასოცირების შესახებ ხელშეკრულებები (შემდგომში DCFTA).

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ DCFTA-ს საქართველოსთვის არ მოჰყვა ისეთი შედეგი, როგორსაც 2013-14 წლებში, მოლაპარაკებისა და რატიფიცირების პერიოდში ელოდნენ. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც გეოგრაფიული სიშორე, ასევე ევროკავშირის ერთიან ბაზარზე არსებული მკაცრი საბაზრო და ხარისხის რეგულაციები. ეს უკანასკნელი ართულებს ევროკავშირის ბაზარზე წვდომას არა მხოლოდ ქართული ბიზნესებისათვის, არამედ უკრაინისა და მოლდოვისთვისაც. საერთო ჯამში, ხაზგასასმელია, რომ ქართულ ბიზნეს სექტორს ბევრად მეტი მოლოდინი ჰქონდა ასოცირების პროცესის მიმართ, ვიდრე შესაძლებელი იყო. ის, რაც ქართულ მოსახლეობას ხშირად რჩება ყურადღების მიღმა, ისაა, რომ ევროკავშირის ბაზარი მკაცრად რეგულირებული სისტემაა, რომელსაც როგორც ექსპორტის, იმპორტის მიმართაც მაღალი სტანდარტი გააჩნია. ევროკავშირი პირველ რიგში ეკონომიკური ტიპის გაერთიანებაა და შესაბამისად, მასზე წვდომა და ბაზარზე ახალ სუბიექტად დაფიქსირება საკმაოდ რთულია. ამავდროულად პრობლემას წარმოადგენდა მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობა, ტრანსპორტირების მაღალი ხარჯი გეოგრაფიული სიშორის გამო, გადასახადები და ა.შ (გრძელიძე, 2015. გვ. 26).

ამავდროულად, როგორც 2020-2021 წლების ინდექსშია წარმოდგენილი, რაც უფრო ღრმავდება ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესი, მით უფრო რთულდება ქვეყნებისთვის მიცემული “დავალეები”. შესაბამისად, გარკვეულწილად შეფერხება ან თუნდაც უკუსვლა ვაჭრობისა და “აპროქსიმაციის” პროცესში გასაკვირი სულაც არაა. უშუალოდ ინდექსის ანალიზის ნაწილში ვკითხულობთ: “რაც ამ [მაჩვენებლის] ახსნაში გვეხმარება არის ის ფაქტი, რომ რაც უფრო მეტ პროგრესს აღწევს ეს სამი ქვეყანა ამ მიმართულებით, უფრო მეტად მომთხოვნი და ტექნიკურად რთული შესასრულებელი ხდება შემდეგი ნაბიჯები” (Eastern Partnership Civil Society Forum, 2021. p.5).

ბოლო, 2020-2021 წლების ინდექსის მიხედვით, საქართველომ მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო პირველ ორ პოზიციას თანაბარი შედეგებით ინაწილებენ უკრაინა და მოლდოვა. სხვაობა საქართველოსა და მოლდოვა-უკრაინის მიერ მიღწეულ შედეგს შორის მხოლოდ 0.05-ია, რაც თითქმის ათანაბრებს სამი ქვეყნის შედეგებს ერთმანეთთან. საერთო შედეგის მიუხედავად აღსანიშნია ის ფაქტი, რომ საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტებში, როგორცაა ადმინისტრაციული მმართველობა და მედიის თავისუფლება საქართველო უსწრებს ასოცირებული ტრიოს დანარჩენ წევრებს.

საქართველოს უკან დახევა ამ მონაცემებში გარკვეულწილად განპირობებულია ბოლო წლების განმავლობაში ადამიანის უფლებების დარღვევების მომატებული შემთხვევებით, რაც გამოიხატა აქციების დარბევებში, მასობრივ დაკავებებსა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებში. ეს მონაცემები ყველაზე კარგად ადამიანის უფლებათა დაცვის ასპექტში ჩანს, სადაც საქართველო ექვსეულს შორის მეოთხე ადგილს იკავებს და მხოლოდ აზერბაიჯანსა და ბელორუსს უსწრებს (Eastern Partnership Civil Society Forum, 2021. p.19).



ფოტო #2: 2020-2021 წლის EaP Index-ის საერთო შედეგები.
(Eastern Partnership Civil Society Forum, 2021. p.4).

EaP ინდექსის გარდა ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოების საკმაოდ მნიშვნელოვან მაჩვენებელს ინსტიტუციური თანამშრომლობა წარმოადგენს როგორც წევრ ქვეყნებთან, ისე ევროკავშირის ფარგლებში არსებულ გაერთიანებებთან. ეს საკითხი ასევე ხაზგასმულია 2020-2021 წლის ინდექსში. კერძოდ, რეკომენდაციებში მკვლევართა ჯგუფმა მიუთითა:

“ასოცირებულ ტრიოს” უნდა შევთავაზოთ “მეტი, მაგრამ ეს უნდა იყოს დემოკრატიისა და მმართველობის სფეროში მდგრად და რეალურ განვითარებაზე დამოკიდებული. მნიშვნელოვანია რომ ევროკავშირმა აღიაროს ამ დრომდე გაწეული შრომა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან, და აღიაროს ასოცირებული ტრიოს ევროკავშირში გაწევრების ასპირაციები, მაგრამ ამავდროულად, არ უნდა მოხდეს შემდგომი რეფორმებისთვის ზღვრის დაწევა” (Eastern Partnership Civil Society Forum, 2021. p.9).

ამ რეკომენდაციის თანახმად, ასოცირებულ ტრიოს უნდა შეექმნას დამატებითი მოტივაცია, რომ უფრო დაუახლოვდნენ ევროკავშირს და გააძლიერონ ინსტიტუციური მმართველობა.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ჰქონდა გადაცდომები სხვადასხვა მიმართულებით და ევროკავშირს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორობაში არ “ისჯება” ისე მკაცრად, როგორც ამას საქართველოს შემთხვევაში ვხედავთ. მაგალითად, განსხვავებით საქართველოსგან, მოლდოვა ჯერაც რჩება დსთ-ს წევრ ქვეყნად. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2021 წლის კორუფციის ინდექსის მიხედვით, მოლდოვა 105-ე ადგილს იკავებს, უკრაინა 122-ე ხოლო საქართველო 45-ე პოზიციაზე. ეს მონაცემი ცალსახად მიუთითებს, რომ საქართველო ბევრად წინაა დანარჩენ ორ ასოცირებულ ქვეყანასთან შედარებით. ამ მხრივ საქართველო თავად ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანასაც კი უსწრებს წინ, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკას, საბერძნეთს, უნგრეთს და სხვა (Transparency International, 2021). კატოს უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული ადამიანთა თავისუფლების 2021 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე-40 პოზიციას იკავებს, მაშინ როცა უკრაინა 98-ე, ხოლო მოლდოვა 61-ე პოზიციაზეა. ამავდროულად ევროკავშირის წევრი პოლონეთი 49-ე, საბერძნეთი 56-ე, ხოლო უნგრეთი 59-ე ადგილზეა (Vasquess I., et al. 2021. p.36-38). ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო, მიუხედავად 2020-22 წლებში გამოვლენილი აშკარა პრობლემებისა, ევროკავშირისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტებში წინ უსწრებს, არა მხოლოდ მოლდოვას და უკრაინას, არამედ თავად წევრ ქვეყნებსაც. თუმცა, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებასა და აპროქსიმაციის

ინდექსზე გარკვეულწილად შარლ მიშელის დოკუმენტის შეუსრულებლობამ იმოქმედა, ისევე როგორც მთავრობისა და პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულების შეცვლამ ევროკავშირის და ზოგადად დასავლური ინსტიტუციების მიმართ. ეს უკანასკნელი გამოიხატა როგორც მმართველი პარტიის ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებებში, ისე “ქართული ოცნებისგან” გამოყოფილი პარლამენტარების გამოსვლებში (ყაველაშვილი და სხვ., 2022).

თუმცა, ამ რიტორიკის მიუხედავად, ქვეყნის მონდომებაზე და ევროინტეგრაციისკენ მისწრაფებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს ევროკავშირის და ნატოს უწყებებთან დაახლოებას. ევროკავშირის შემთხვევაში ქვეყანას უწყებრივი და ინსტიტუციური თანამშრომლობის არაერთი ინსტრუმენტი გააჩნია. მაგალითად, ასოცირებული ტრიო EUROPOL-ის წევრია, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ტრანსნაციონალურ და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას. ამასთანავე, EUROJUST-ში ქართველი პროკურორით ვართ წარმოდგენილნი, ისევე როგორც უკრაინა, რაც გვიადვილებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობას და საქმეების/დანაშაულების ერთობლივ გამოძიებას. გარდა ამისა გვაქვს პარლამენტთაშორისი თანამშრომლობის ჩარჩო, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში - EURONEST, სადაც არსებობს წევრი ქვეყნების პარლამენტარებთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის შესაძლებლობა. ამასთანავე, თითოეული დამატებითი ინსტრუმენტი, ისევე როგორც ევროკავშირის მხრიდან გაწეული დონაციები ინსტიტუციური და სექტორული განვითარების კუთხით, ხელს უწყობს როგორც საქართველოს, ისე ასოცირებულ ტრიოს ევროკავშირთან დაახლოებას. გარდა აღნიშნულისა, პარლამენტთაშორისი თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საკანონმდებლო დონეზე გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლისათვის.

ევროკავშირი დღეის მდგომარეობით საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს დონორს წარმოადგენს. დონაციები გაიცემა როგორც სამეზობლო პოლიტიკის, ისე ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ და ასოცირების ხელშეკრულებების ფარგლებში. როგორც არაერთი ინტერვიუს და წყაროს ფარგლებში ითქვა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ქვეყანას ბევრად მეტ დახმარებას და დაახლოებას ჰპირდება ევროკავშირთან და შესაბამისად, არსებობს მოლოდინი, რომ ევროკავშირის ბაზარზე წვდომაც მკვეთრად გაიზრდება (ჩხიკვაძე, 2022). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიულად გადაჭარბებული მოლოდინები გააჩნდა ევროკავშირის მიმართ, ცალსახად უნდა ითქვას, რომ კანდიდატის სტატუსი, ისევე როგორც მისი შემდგომი წევრობის პერსპექტივა ქართულ ბაზარს მნიშვნელოვნად დაეხმარება. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა,

ევროკავშირის ბაზარზე დღესდღეობით წვდომა ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ფარგლებში გვაქვს. კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში ეს წვდომა იზრდება და გარდა დამატებითი ფინანსური სარგებლისა, რაც თან სდევს კანდიდატის სტატუსს, ქართულ ბიზნესს ექნება უფრო მეტი შესაძლებლობა რომ ევროპულ ბაზარს შეუერთდეს.

თუ კანდიდატობის სტატუსის ფარგლებში შევძლებთ საბაჟო გადასახადის შემცირებას მაინც, ეს უკვე ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პრერეკვიზიტი იქნება. გარდა ამისა, ევროკავშირის ბაზრის მკაცრი რეგულაციების ფონზე, გაიზრდება ამ ბაზარზე გაყიდვის სურვილის მქონე მწარმოებლების პროდუქციის ხარისხი. 2022 წლის 7 სექტემბერს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის ფარგლებში ხაზი გაესვა საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური დაახლოების პროგრესს და მის მნიშვნელობას ორივე მხარისათვის.

“ასოცირების საბჭო მიესალმა იმ ფაქტს, რომ ევროკავშირი რჩება საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორად და რომ ქართული ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა. ასოცირების საბჭომ ხაზი გაუსვა საერთო ამბიციას, რომ გაიზარდოს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ტვირთბრუნვა, მათ შორის სავაჭრო ბარიერების, მიზნობრივად, შემდგომი გაუქმების გზით. ასოცირების საბჭო მიესალმა საქართველოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების საგზაო რუკის პირველი ფაზით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას, მათ შორის დავების გადაწყვეტის ახალი ორგანოს ჩამოყალიბებას, რამაც შედეგად ბაზარზე გაზრდილი წვდომა მოუტანა მას. ... საბჭომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მთავარი პარტნიორის როლს ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში და განსაკუთრებით აღნიშნა ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია კასპიის ნახშირწყალბადის რესურსების მიწოდებაში სამხრეთის გაზის დერეფნის გავლით”. (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2022).

დღესდღეობით საქართველოს ძირითად საექსპორტო ბაზარს რუსეთი წარმოადგენს, ეს განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: (1) საქართველო აგრარული წარმოების ქვეყანაა და აგრარული პროდუქტის ექსპორტისას დრო მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი კომპონენტია; (2) რუსულ ბაზარს ბევრად ნაკლები მოთხოვნა აქვს იმპორტირებული პროდუქტის მიმართ; (3) გეოგრაფიული სიახლოვე და უკვე არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მკვეთრად ამცირებს ექსპორტის ხარჯებს. შესაბამისად, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა, თუ გამარტივდება ევროკავშირში იმპორტის პროცესი (დრო, ტრანსპორტირება) შესაძლებელი გახდება საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაცია. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს წარმოების სრულად ევროპისკენ

მიმართვას, მაგრამ გარკვეულწილად ევროკავშირსა და სხვა ბაზრებს შორის გადანაწილებას გამოიწვევს.

საქართველოს მიერ 2014 წლიდან მიღწეული პროგრესი მნიშვნელოვან კომპონენტი და ბერკეტია ევროკავშირთან ურთიერთობის პროცესში. ცალსახაა, რომ არსებობს ხარვეზები და პოლიტიკის, დირექტივების და რეკომენდაციების განხორციელების პროცესში მკვეთრი ინსტიტუციური გარღვევები. ეს საკითხი შეფასებების არაერთ დოკუმენტში აისახა. ხშირ შემთხვევაში გაწერილი და მიღებული საკანონმდებლო ცვლილება არ შეესაბამება განხორციელებულ რეფორმას, ისევე როგორც არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონი სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან, მაგრამ მისი ადექვატური იმპლემენტაცია ვერ ხერხდება.

დამოუკიდებლობის შემდგომ, საქართველოში არსებული ყველა მთავრობა ევროპული ამბიციებისა და პერსპექტივებისაკენ მიილტვოდა. ასოცირების ხელმოწერის და 2016 წელს მისი რატიფიცირების შემდგომ ხშირად იყო საუბარი იმის შესახებ, რომ წევრობის სურვილს და განაცხადს პოლიტიკური ნება და გამბედაობა სჭირდებოდა. ეს წარმოადგენდა საზოგადოებისა და ოპოზიციის მხრიდან ერთგვარ წნეხს მთავრობაზე, რომ მკაფიოდ ყოფილიყო დაფიქსირებული ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ასპირაცია.

2.2. საქართველოს ევროკავშირში გაწევრების განაცხადი და გადაწყვეტილება

ევროინტეგრაცია და ევროკავშირთან ურთიერთობები, გარდა ფინანსური და ინსტიტუციური განვითარების ინსტრუმენტისა, პოლიტიკური ვაჭრობის და სპეკულაციის იარაღად იქცა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 2020-2021 წლის EaP ინდექსი იყო ერთ-ერთი პირველი შეფასება, რომლის ფარგლებშიც საქართველომ მცირედით დათმო პირველობა ასოცირებულ ტრიოს შორის, ქართული ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ 2012 წლის შემდგომ ქვეყანამ გადაუხვია ევროინტეგრაციის კურსს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ნარატივი ოფიციალური კვლევებისა და სამთავრობო რიტორიკის მიხედვით არ საბუთდება. ცალსახაა, რომ ევროკავშირთან დაახლოების და აპროქსიმაციის ინდექსი წლიდან წლამდე იზრდებოდა. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჰქონდა გარკვეული შეფერხებები მედია თავისუფლების, სასამართლოს თავისუფლების და ზოგადად ადამიანთა უფლებების დაცვის მხრივ, რაც ევროკავშირის ყურადღების მიღმა არ

დარჩენია, რაც კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის ფარგლებშიც (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2022).

მზარდი პოლიტიკური პოლარიზაცია და ჩიხური მდგომარეობა, რომელმაც პიკს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და მის შემდგომ პერიოდში მიაღწია, საერთაშორისო აქტორების ყურადღების ცენტრში მოექცა. 2021 წლის 23 თებერვალს მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის, ნიკანორ მელიას დაკავებამ, გარკვეულწილად ევროკავშირი იძულებული გახდა ღიად ჩართულიყო მოლაპარაკების პროცესში. შედეგად საქართველოს მედიატორის როლში ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ეწვია. მოლაპარაკებების პროცესი რამდენიმე რაუნდად წარიმართა და ამავე წლის 19 აპრილს მხარეები 5 პუნქტიან გეგმაზე შეთანხმდა. შეთანხმების თანახმად, ხელმომწერი მხარეები იღებდნენ ვალდებულებას შეესრულებინათ საპარლამენტო მანდატებით დაკისრებული პასუხისმგებლობები. სანაცვლოდ, მთავრობას უნდა უზრუნველყო შემდეგი პუნქტების შესრულებისაკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა:

1. *პოლიტიკური მართლმსაჯულების საკითხზე რეაგირება;*
2. *ამბიციური საარჩევნო რეფორმა, რომელშიც ასევე შედიოდა ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მისიის რეკომენდაციების გათვალისწინება;*
3. *სასამართლო რეფორმა, რომლის მიზანსაც დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს ;*
4. *პარლამენტში ძალაუფლების გადანაწილება;*
5. *მომავალი [ავტ: 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის] არჩევნები. (ევროკავშირის საგარეო მოქმედებების სამსახური, 2021)*

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. “შარლ მიშელის შეთანხმება” საქართველოში პოლარიზაციის დასასრულის დასაწყისად ჩაითვალა, პოლიტიკური პარტიები, მათ შორის მმართველი პარტია, ეტაპობრივად გამოეთიშა ხელშეკრულებას და ის ანულირებულად გამოაცხადა (ტვიმედი, 2021). შესაბამისად, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ფაქტობრივად ერთხმად უარყო შეთანხმება და ერთმანეთისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პოლიტიკას დაუბრუნდა.

2022 წელს უკრაინაში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა კიდევ ერთხელ წინა პლანზე წამოწია ევროკავშირის და ნატოს წევრობის საკითხი. უკრაინის კვალდაკვალ, საქართველომ და მოლდოვამაც გააკეთეს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი, რასაც წინ ქვეყნის

პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის შეხვედრები უძლოდა ბრიუსელსა და ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნების დედაქალაქებში. 2022 წლის 3 მარტს საქართველომ ოფიციალურად მოითხოვა ევროკავშირის წევრობა, რის პასუხადაც ევროკავშირის წევრობის შეფასების კითხვარის პირველი ნაწილი მივიღეთ, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობისა და მზაობის შესახებ 2300-მდე შეკითხვას მოიცავს. დოკუმენტის ფარგლებში ფასდება საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური მზაობა ევროკავშირის წევრობისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყანამ მიიღო კითხვარის პირველი ნაწილი. საერთო ჯამში ეს კითხვარი და მასზე პასუხები განსაზღვრავს არა მხოლოდ ევროკავშირის პასუხს საქართველოს გაწევრების პერსპექტივის შესახებ, არამედ წევრობისკენ გასავლელ გზასაც. მზაობის შეფასებისას ევროკავშირი ეყრდნობა ევროკომისიის მიერ 1993 წელს გაწერილ კრიტერიუმებს:

- ქვეყანას შექმნილი აქვს სტაბილური ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანთა უფლებებისა და უმცირესობების დაცვას;
- შექმნილია ფუნქციური საბაზრო ეკონომიკა, ასევე არსებობს ევროკავშირის შიგნით არსებული კონკურენციის წნეხსა და საბაზრო ძალებთან გამკლავების შესაძლებლობა;
- წევრობის ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა, მათ შორის კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული მიზნების დაცვა (European Commission, 2022a. p.1).

აღნიშნულის საფუძველზე, 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის წევრობის კანდიდატობის შესახებ საკუთარი რეკომენდაცია მიაწოდა ევროპარლამენტს. რეკომენდაციის თანახმად უკრაინამ და მოლდოვამ მიიღეს კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველოს შემთხვევაში ქვეყანამ “ევროპული პერსპექტივის” დაპირება მიიღო. ეს გადაწყვეტილება გულისხმობს, რომ წლის ბოლოს სამივე ქვეყნის სტატუსი გადაიხედება ქვეყნების მიერ მათთვის შესასრულებელი პირობების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს აქვს შესაძლებლობა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ხოლო მოლდოვამ და უკრაინამ გაიმყარონ საკუთარი პოზიციები. რა თქმა უნდა, შესაძლებელია პროცესის უკუსვლით წარმართვაც, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ქვეყნები ვერ შეძლებენ მათთვის გაწერილი პირობების შესრულებას, შესაბამისად, ისინი დაკარგავენ კანდიდატის სტატუსს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ქვეყნისათვის გაცემული მითითებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამან საქართველოს მოსახლეობის ორ ბანაკად გაყოფა გამოიწვია. ერთი მხრივ აქტიურ ფაზაში გადავიდა მთავრობის კრიტიკა, რომელმაც ვერ შეძლო ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების უზრუნველყოფა და უფრო მეტად დააშორა საქართველო ევროატლანტიკურ სივრცეს. მეორე მხრივ გაიზარდა და გააქტიურდა ევროსკეპტიკური და დასავლეთისადმი უარყოფითად განწყობილი ჯგუფების გავლენები. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანი იყო უშუალოდ მმართველი პარტიის, ქართული ოცნების შიგნით დაწყებული დაპირისპირება და პარტიისგან რამდენიმე დეპუტატის გამოყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მთავრობის მიმართ გაზრდილი კრიტიკისა და უკმაყოფილებისა, საზოგადოებაში ასევე არსებობს უსამართლობის შეგრძნებაც. წლების განმავლობაში საქართველო ითვლებოდა უკრაინისთვის ერთგვარ საყრდენად ევროკავშირთან ურთიერთობის პროცესში. თუმცა ევროკომისიის რეკომენდაციების შედარებისას ცხადად გამოჩნდა, რომ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულწილად ევროკავშირის “sticks and carrots”-ის (ჯოხი და სტაფილო) ნაწილი იყო. საქართველოს მთავრობას, მისი უახლოეს წარსულში გადადგმული ნაბიჯების და მზარდი ანტიევროპული ტენდენციების გამო “სტაფილო” კი არ მისცეს, არამედ დასაჯეს და მოხვდა “ჯოხი”. თუ ტექნიკური კუთხით შევხედავთ, საქართველოს რაოდენობრივად საკმაოდ ბევრი მოთხოვნა აქვს, თუმცა ამ მოთხოვნების უმეტესობა ერთმანეთს ებმის და ინსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზე მარტივად შესრულებადია.

ევროკავშირის მოთხოვნები სამივე ქვეყნის მიმართ ერთმანეთის იდენტურია. ის ეხება სამივე ქვეყნის დემოკრატიის ქვაკუთხედის ძირითად ნაწილებს, როგორცაა: დეოლიგარქიზაცია, ელიტური კორუფციის აღმოფხვრა (თუმცა, მოლდოვის შემთხვევაში ხაზი გაესვა კორუფციის პრობლემას ყველა დონეზე), დამოუკიდებელი სასამართლო, საარჩევნო სისტემა, ვენეციის კონვენციის რეკომენდაციების შესრულება, მედია თავისუფლება, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა. დანართ A-ში ცხრილის სახით მოცემულია ევროკავშირის მიერ სამივე ქვეყნის მიმართ წამოჭრილი მოთხოვნები. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ მოთხოვნების ფორმულირებები სხვადასხვაგვარია, რაც კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებს ევროკავშირის ორმაგ მიდგომაში ქვეყნების მიმართ. კერძოდ, ძირითად ასპექტებში საქართველოს მიმართ მოთხოვნებს აქვთ ისეთივე ფორმულირება, როგორც მოლდოვას ან უკრაინის მიმართ, ან არაერთ შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად დე-ოლიგარქიზაციის, სასამართლო რეფორმის ან კორუფციასთან ბრძოლის საკითხები, ქვეყნის მიმართ წარდგენილი მოთხოვნები ბევრად მსუბუქადაა ფორმულირებული, ვიდრე ასოცირებული ტრიოს დანარჩენი ორი წევრის

მიმართ (დანართი #1). მაგალითად, სამივე ქვეყანას აქვს ფულის გათეთრების კანონმდებლობის გაუმჯობესების და FATF-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება. თუმცა, უკრაინას დამატებით მოთხოვნად სამართალდამცავი სისტემის სრული რეფორმა აქვს განსაზღვრული, რაც საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია.

ეს რა თქმა უნდა, არ უნდა გახდეს საქართველოს მხრიდან ამ რეკომენდაციების უგულებელყოფის ან/და ევროპულ პერსპექტივაზე უარის თქმის საფუძველი. თუმცა, ამ გადაწყვეტილების შედეგად, მიუხედავად მთავრობის მიმართ მასშტაბური პოლიტიკური კრიტიკისა, ქვეყანაში უფრო მეტად გაძლიერდა ევროსკეპტიკოსების პოზიციები, რასაც თავისთავად შეუწყო ხელი პარალელების და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებთან შედარების გავლებამ. მაგალითად, დღესდღეობით ევროკავშირის წევრობის კანდიდატია მონტენეგრო, სერბეთი, თურქეთი, რომლებიც მიუხედავად ევროკავშირის მხრიდან მათი სტატუსის გამო მიღებული დახმარებისა, არაერთ ასპექტში საქართველოზე, მოლდოვასა და ომში მყოფ უკრაინაზე უკან არიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნათა და რეკომენდაციათა ერთობლიობა შეიძლება ორ ძირითად ჯგუფში განაწილდეს, რომელთა რეფორმაც და განვითარებაც ქვეყნის ევროპულ ოჯახში გაწევრების პერსპექტივას უზრუნველყოფს: (1) სამართალდამცავი და სასამართლო უწყებების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და (2) პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა და დეპოლარიზაცია. ოპოზიციური ჯგუფები ხშირ შემთხვევაში “დეოლიგარქიზაციის” პირობაზე აპელირებენ, რაც თავისთავად დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუციების შექმნის პროცესს მოჰყვება. ამის მიუხედავად 5 ძირითად მოთხოვნას გამოყოფენ, რომელიც ქართული პოლიტიკური ელიტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება:

1. პოლიტიკური პოლარიზაციის შემსუბუქება;
2. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა;
3. “დეოლიგარქიზაციის” პირობისადმი ერთგულება;
4. თავისუფალი, პლურალისტური, პროფესიული და დამოუკიდებელი მედია გარემოს შექმნა და მასთან დაკავშირებული საქმეების მიუკერძოებელი გამოძიება;
5. არჩევნების სისტემის განახლება და სახელმწიფო ორგანოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამივე ქვეყნის მიმართ წარდგენილი მოთხოვნები საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს, თუმცა სხვაობა ხშირ შემთხვევაში მცირედ ფორმულირებებშია. მიუხედავად

იმისა, რომ საერთო ჯამში ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს ამ ეტაპზე ბევრი მოთხოვნები აქვს წაყენებული, ძირითად პრობლემას მაინც ქვეყნის შიგნით არსებულ ურთიერთობათა დინამიკა წარმოადგენს. საქართველოს მსგავსად, მოლდოვაშიც შეიცვალა მთავრობა და მოლდოვას ბევრად გამოხატული და ძლიერი პრორუსული ოპოზიცია ჰყავს, ვიდრე საქართველოს. გარდა იმისა, რომ მოლდოვას ოპოზიციური პარტიები აქტიურად უჭერენ მხარს რუსეთის მოქმედებებს, ისევე როგორც, მაგალითად საქართველოში არის “კონსერვატიული მოძრაობა”, საქართველოს მოლდოვისგან ამ პარტიების სიძლიერე და მათი შესაძლებლობა განასხვავებს, რომ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ბოლო არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ პრო-რუსულ და პრო-დასავლური ძალების გავლენებს შორის არც-თუ ისე დიდი განსხვავებაა. ამის ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრორუსული ძალები არ სარგებლობენ დიდი მხარდაჭერით, ევროკავშირის ამ გადაწყვეტილების შემდეგ კონსერვატიული და ანტი-დასავლური მოძრაობების გავლენები და განწყობა საზოგადოებაში გაიზარდა.

2.3. ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის ისტორიიდან

შავი ზღვის რეგიონი რამდენიმე ზონად იყოფა, რომელიც მოიცავს უშუალოდ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებს (თურქეთი, ბულგარეთი, უკრაინა, რუსეთი, საქართველო და რუმინეთი), ასევე არასაზღვაო სახელმწიფოებსაც, რომელთაც საკუთარი ინტერესები გააჩნიათ რეგიონის მისამართით. შავი ზღვა თანამედროვე პერიოდში აღქმულია დაპირისპირებულ მხარეთა კონფრონტაციულ სივრცედ, სადაც არაპროგნოზირებადი მოვლენები მყისიერად, ხოლო ინტერესი საგრძნობლად იზრდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა შავი ზღვის აკვატორიამ 2014 წლის შემდეგ შეიძინა, როდესაც რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ანექსია განახორციელა, რომლის შემდეგაც რეგიონი მთავარი დაკვირვების ობიექტად იქცა (Brânda, 2019. p.19).

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირი რეგიონის სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ შეუდგა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2003 წლის ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაა (European Security Strategy, 2003) ევროკავშირის პირველი დოკუმენტი, სადაც ირიბადაა აღნიშნული კავკასია, როგორც რეგიონი, რომელიც მომავალში დიდ ყურადღებას საჭიროებს და ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. წლების შემდეგ, 2016 წლის ნოემბერში ევროკავშირმა პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია პროპაგანდის საწინააღმდეგო სტრატეგიული კომუნიკაციის შესახებ,

რომელშიც ხაზგასმულია რუსული პროპაგანდის ძლიერი გავლენა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებზე (საქართველოს მთავრობა, 2017). აღნიშნული დოკუმენტი არ უზრუნველყოფს კომპლექსურ მიდგომას რეგიონთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ ესკალაციის დონე პიკურ მდგომარეობას აღწევს.

შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირის (EU) დღის წესრიგში რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიებიდან (2007 წ.) მოხვდა. ამავე წელს ევროკავშირმა „შავი ზღვის სინერჯია“ შექმნა, როგორც რეგიონული ინიციატივა, რათა განვითარებულიყო თანამშრომლობა რეგიონში გარკვეულ სფეროებში, როგორცაა ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და სხვა. მან შეავსო (ENP), მაგრამ მისი შინაარსი დიდწილად იმეორებდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) საქმიანობის პროგრამას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი სინერჯია იყო, ევროკავშირის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროექტი შავი ზღვის აუზისთვის, რომელიც ფოკუსირებული იყო ეკონომიკური და სოციალური განვითარების, გარემოს დაცვისა და კონსერვაციისაკენ, ისევე როგორც კულტურული და საგანმანათლებლო ინიციატივებისათვის (Yazgan, 2017. p.68).

სტრატეგიის სინერჯიული მიდგომა სამი ძირითადი მიმართულებისაგან შედგებოდა: (1) ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკასთან, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატთან; (2) ურთიერთობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, კერძოდ, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან; (3) პოლიტიკისგან, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებას. ფაქტობრივად, ამავე სინერჯიული მიდგომის ფარგლებში არსებობდა ასევე ქვეყნების მეოთხე რგოლი (ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი), რომლის მთავარი ამოცანა, როგორც ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისა, იყო აქტიური დახმარება გაეწიათ შემუშავებული სტრატეგიის ფარგლებში დასახული ინიციატივების განხორციელებაში.

შავი ზღვის სინერჯია აღიარეს, როგორც მთავარი ინსტრუმენტი შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის გაძლიერებისათვის. ასევე პროგრამის ფარგლებში მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობდა BSEC-ის წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას სხვადასხვა სფეროში. ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა რუსეთის ფედერაცია გახლდათ. რუსეთის შეთავაზება პირველ რიგში ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობას მოიცავდა, თუმცა ევროკავშირმა პრიორიტეტულად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ჩათვალა. ამრიგად, თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონში პრობლემურ საკითხად იქცა რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობაში, შესაბამისად, რუსეთის

წარმომადგენლებმა უარი თქვეს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ერთობლივი განცხადების შემუშავებაზე.

მოგვიანებით, 2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტის დეპუტატებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება შავი ზღვის რეგიონის მიმართ და დაამტკიცეს რეზოლუცია ევროკავშირის სტრატეგიის შესახებ. სტრატეგიის მიზანს წევრ ქვეყნებთან ინტეგრაციის პარალელურად, ევროკავშირის გავლენის გაძლიერება წარმოდგენდა რეგიონში. დოკუმენტში აგრეთვე აღინიშნა ევროკომისიის არასაკმარისი აქტივობა რეგიონში, მაგრამ ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა, ხოლო თავად შავი ზღვა ევროკავშირისთვის „ნაწილობრივ შიდად“ იქნა გამოცხადებული. განცხადებაში განსაკუთრებული ყურადღება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს დაეთმო.

ევროკავშირისა და რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების შედარება, კერძოდ, მათი პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, მიმდინარე მდგომარეობა სერიოზულ წინააღმდეგობას და მხარეებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შეუძლებლობას კვლავ აქტიურ ფაზაში წარმოგვიჩენს.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პოსტსაბჭოთა სივრცემ შეიძინა. „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“ (1993) პრიორიტეტი იყო რუსეთისათვის ფუნდამენტურად ახალი, თანაბარი და ურთიერთსარგებლიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება დსთ-სა და სხვა მეზობელ ქვეყნებთან (Uznarodov D. and Uznarodov I., 2018. p.43).

რაც შეეხება შავი ზღვის სინერჯის მიმართულებას, მან გავლენა მოახდინა ევროკავშირისა და რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორის, თურქეთის ურთიერთობაზე, კერძოდ, 2007 წელს გერმანია და საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდნენ თურქეთის გაწევრიანებას მათ რიგებში, მეტიც, 2007 წლის იანვარში ნიკოლა სარკოზიმ პრეზიდენტობის კანდიდატის როლში განაცხადა რომ: „ევროპას აქვს გარკვეული საზღვრები და ყველა ქვეყანა არ შეიძლება გახდეს მისი სრულუფლებიანი წევრი, ეს ეხება თურქეთსაც, რომლის ადგილიც ევროკავშირში არ არის; შეუზღუდავმა გაფართოებამ შესაძლოა ევროპული გაერთიანების ნგრევა გამოიწვიოს“ (Kubosova L., 2006). აღნიშნულმა განცხადებამ ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობების შემდგომი რევიზია და ურთიერთობების გადახედვა გამოიწვია.

ერთ-ერთი ძირითადი „დაბრკოლება“ ევროკავშირისა და თურქეთს შორის ურთიერთობებში 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა გენოციდის აღიარებაა, ისევე როგორც

ჩრდილოეთ კვიპროსის საკითხი, რომლის ტერიტორიაზეც 1974 წლიდან თურქეთის სამხედრო ძალები იმყოფება.

ევროკავშირის პოლიტიკა რეგიონში ორიენტირებულია ეკონომიკურ, გეოგრაფიულ, რეგიონულ და სავაჭრო ინტეგრაციაზე. მისი რესურსების დაახლოებით 22% მიმართულია კონკრეტულად სატრანსპორტო ინვესტიციებზე. ევროკავშირის სატრანსპორტო პოლიტიკა მიზნად ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შექმნას ისახავს, რომლის დასტური ევროპული კომისიისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიაა. იგი მოიცავს ეროვნული სატრანსპორტო ქსელების ურთიერთდაკავშირებას, ტრანსევროპული ტრანსპორტის ქსელის შექმნას (TEN-T). აღნიშნული განკუთვნილია სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, ბელორუსიისთვის, საქართველოსთვის, მოლდოვასა და უკრაინისთვის. პროექტის ფარგლებში ინვესტიციების საერთო მოცულობა 13 მილიარდი ევროა, რაც გამოიწვევს 4800 კმ გზისა და რკინიგზის, 2050 წლისთვის კი 6 პორტისა და 11 ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობას (Shanava Z., 2021. p.14).

1990-იან წლებში ევროკავშირმა გაზარდა ყურადღება შავი ზღვის რეგიონის მიმართ, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება ენერგორესურსების მოწოდების კუთხით. დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში ნავთობისა და ბუნებრივი რესურსების წარმოება და ტრანსპორტირება ქვეყნებს შორის დამაბულობისა და უთანხმოების საგანია. ეს პრობლემები დაკავშირებულია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთანაც. კასპიის რესურსები საზღვაო და მათი სატრანსპორტო გზები, რომლებიც საქართველოზე გადის ბაქო-თბილისი სუფსას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და შაჰ-დენიზის (აზერბაიჯანი)-თბილისი-ერზრუმის გავლით ენერგორესურსების მიწოდებას უზრუნველყოფს. მილსადენებს რეგიონისთვის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ბუნებრივი აირი რუსეთიდან სომხეთს სამხრეთ კავკასიური გაზით მიეწოდება. ის შესაძლოა დაკავშირებული იყოს ირანის ბუნებრივი გაზის საბადოებთან, მაგრამ აღნიშნულ მილსადენს ოფიციალური თბილისი აკონტროლებს. რუსეთთან დამაბული ურთიერთობისა და დასავლეთის მხრიდან განხორციელებულმა ბლოკადამ ირანის მიმართ, მასთან საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირების განუვითარებლობა გამოიწვია. კასპიის ზღვის რესურსები საქართველოს გავლით მილსადენებით და ასევე სარკინიგზო გზით ტრანსპორტირდება, რომელიც დაკავშირებულია ყულევისა და სუფსის, ბათუმისა და ფოთის პორტების ტერმინალებთან. ენერგეტიკული ხიდის და სატრანსპორტო დერეფნის როლი ცენტრალურ კავკასიას უჭირავს, საქართველოს რეგიონულ მნიშვნელობას და მის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციასაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური დერეფნის განვითარებაში დიდია ისეთი აქტორის როლი, როგორც ჩინეთია. 2017 წლის 13 მაისს, პეკინში, საქართველოს

მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2017). 2022 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 79.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (362.8 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (224.1 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (210.3 მლნ. აშშ დოლარი) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022. გვ.5). ეს გარემოებები ნათლად მიუთითებს ჩინეთის მზარდ როლზე საქართველოსთან მიმართებაში და პირიქით, სხვა ქვეყნების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გეოპოლიტიკურად საქართველო ცენტრალურ, ყველაზე ხელსაყრელ პოზიციას იკავებს კავკასიაში. იგი აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს სამი ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტით. ეს გზა რუსეთის მიერ კონტროლირებადი მილსადენების ალტერნატიული ვექტორია. საქართველოს აქვს პოტენციური გახდეს დამაკავშირებელი რგოლი ჩრდილოეთ-სამხრეთის ვექტორთან, რომელსაც შეუძლია დააკავშიროს რეგიონები ერთმანეთთან და შუამავალი რგოლი აღმოჩნდეს მათთან ურთიერთობების საწარმოებლად.

3. შედეგები და დისკუსია

3.1 ევროკავშირის მოთხოვნების შესრულების გზა

2022 წლის 3 ივლისს საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა სამოქმედო გეგმის მონახაზი წარადგინა, თუ როგორ უნდა შესრულდეს ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი პირობების შესრულება (Transparency International, 2022). გეგმა მოიცავს როგორც უშუალოდ მოთხოვნების შესრულების გზებს, ისე მათი შესრულების ვადებს და შესაძლებლობის შეფასებას (Transparency International, 2022). წინამდებარე თავში განვიხილავთ ამ მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობებს, თუმცა გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ როგორც ვენეციის კომისიის დასკვნის შემთხვევაში, ასევე ქართული სამოქალაქო სექტორის მიერ შემუშავებულ გეგმაში ვხედავთ იმ პრობლემას, რასაც ქართული სახელმწიფო მისი შექმნის დღიდან აწყდება. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები “ევროპული სამყაროს ნაწილად” მიიჩნევენ თავს, ვერ ხერხდება დემოკრატიის იმ მოდელის დანერგვა, რომელიც წარმატებით დაინერგა მაგალითად, ესტონეთში, რომელიც ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყანაა. ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას, ისევე როგორც საერთაშორისო პარტნიორებს,

მხედველობიდან რჩებათ საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტი - ქართველი ერის ინტერესებისა და მისი ფსიქოტიპის გაუთვალისწინებლობა, რომელიც ვერ ეგუება ბრმად გადმოტანილ ინსტიტუციურ ჩარჩოს შექმნასა და შენარჩუნებას ადგილობრივ დონეზე. თითოეული რეფორმის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ქართველი ერის ფსიქოტიპი, მისი შესაძლებლობები და მისი პოზიცია სახელმწიფო მოწყობის მიმართ. დამოუკიდებლობის 30 წლის მანძილზე ცხადად დავინახეთ, რომ ვერც ერთი კოპირებული რეფორმა ვერ გამოდგა წარმატებული.

როგორც ევროკავშირის მიერ წარდგენილი პირობების, ისე ამ მოთხოვნებზე მთავრობის, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის რეაქციების შეფასების შედეგად ცხადად გამოჩნდა, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტას არ აქვს გააზრებული საქართველოს უახლესი წარსული, “ვერმილწეული” შედეგები, ევროატლანტიკურ სივრცეში სრულყოფილი ინტეგრაციის შედეგები და ქვეყნის მიერ წარსულში გაწეული საქმიანობა და დახმარება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თუ გავიაზრებთ, რომ მიუხედავად ევროკავშირთან ჩამოყალიბებული მჭიდრო ინსტიტუციური თანამშრომლობისა და ნატოს მიერ წარმართულ მისიებში საქართველოს ძალიან დიდი კონტრიბუციისა, ქვეყანა მაინც რჩება “მაღაზიის ფანჯარაზე ცხვირმიბჯენილი ბავშვის” მდგომარეობაში. მნიშვნელოვანია გავითავისოთ ქართული თვითმყოფადობის და ქართველების, როგორც ერის უნიკალური მახასიათებლები. 30 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად იდეალური დემოკრატიის მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს, უკვე დაფუძნებული ინსტიტუციების და პრაქტიკების ქართულ რეალობაში გადმოტანის მცდელობები, მაგრამ საზოგადოება რჩება მანკიერი წრის შიგნით და ვერ ახერხებს მის გარღვევას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ნელ-ნელა ცხადად გამოჩნდა, რომ ქართული საზოგადოება განსხვავებულია დასავლური საზოგადოებისაგან. ეს სხვაობა ჩანს ქართული “დემოკრატიის” მშენებლობის პროცესში, რადგან მიუხედავად არსებული ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლებისა, ვერც ერთი მთავრობა ვერ ახერხებს ფურცელზე დაწერილი ვალდებულებების და მოწყობის ხორცშესხმას და ქვეყნის სწრაფ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ერის თვითმყოფადობის და რაობის გადააზრება არ გულისხმობს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების ან სხვა, საერთაშორისო საზოგადოებაში აღიარებულ ღირებულებებზე უარის თქმას. ქართულ აკადემიურ წიაღში შექმნილი კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგია (შემდგომში: ნოოლოგია) (ხვიჩია ე., 2020) ამ საკითხის და პრობლემის იმგვარ მოგვარებას გვთავაზობს, რომელიც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას, მეორე მხრივ კი გატარებული

ცვლილებები და რეფორმები მოერგება ქართულ იდენტობას. გადაჭრის ეს გზა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს რეფორმების და ცვლილებების ფასადურად განხორციელება და საქართველოში შესაძლებელი გახდეს მისი იდენტობის, ფსიქოტიპის შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება, რაც დაეხმარება ქვეყნის განვითარებას, მაგრამ ამავედროულად ხელს შეუწყობს მის ევროინტეგრაციასაც.

ნოლოგიის თანახმად არ არსებობს უნივერსალური მიდგომა სახელმწიფო მოწყობის და ინსტიტუციების მიმართ. თეორიის ავტორი, ემზარ ხვიჩია, ავითარებს მოსაზრებას, რომ მსოფლიოში 4 ტიპის ერი არსებობს და მათი მოქმედების სპეციფიკა სწორედ მათ ფსიქოტიპს/ნოოტიპს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, დემოკრატიის და სახელმწიფო მოწყობის ამერიკული ან გერმანული შაბლონი ვერ იქნება უნივერსალური საქართველოსთვის, რუსეთისთვის ან სხვა ერებისთვის.

ამ თეორიის გათვალისწინებით, ქართულ ფსიქოტიპს (იგივე: “მართვის მანიის ნოოტიპს”)³ უმეტესწილად შეესაბამება მომლაპარაკებლის ფუნქცია საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანია ნეიტრალურ ავტორიტეტებზე დაფუძნებული ინსტიტუციური მოწყობა. სწორედ ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან განმასხვავებელ მომენტს ჩვენს მიერ შემუშავებულ გეგმასა და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ევროინტეგრაციის გეგმას შორის.

იმისათვის, რომ დაიწყოს რეფორმების და ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის ქართულ ფსიქოტიპთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგრამ ამავედროულად შევძლოთ ევროკავშირში გაწევრების გზაზე მყარად დადგომა აუცილებლად მიგვაჩნია ქართული პოლიტიკური ძალების ქართველი ერის რაობის შესახებ შეთანხმება და მხოლოდ ამის შემდეგ ქვეყნისთვის ოპტიმალური გზის იდენტიფიცირება, როგორც რეკომენდაციების შესრულების, ისე ქვეყნის განვითარების პროცესშიც. თეორიის სიღრმისეული განხილვა და მასზე დისკუსია დაგვანახებს, თუ რატომ ვერ მუშაობს “ბრმა დემოკრატიზაციის” პროცესი საქართველოში.

საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ გაცემული თითოეული რეკომენდაცია ურთიერთდაკავშირებულია და პირდაპირ ებმის ქართველი ერის ბუნების რაობას. ქართველებისთვის რთულად მისაღებია მკაცრად ინსტიტუციური მოწყობა, რაც ნათლადაა წარმოჩენილი ქართულ რეალობაში. დღეს გვაქვს საკმაოდ კარგად გაწერილი სასამართლო სისტემა, თუმცა როგორც ქვეყნის შიგნით ჩატარებული კვლევები და საერთაშორისო მისიების შეფასებები გვაჩვენებს, ეს სისტემა ვერ ახერხებს სრულყოფილად

³ წინამდებარე სტატიის ფარგლებში არ განვიხილავთ კვანტურ-რელატივისტური ნოლოგიის თეორიულ-ფილოსოფიურ დაფუძნებას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ე. ხვიჩიას მონოგრაფიებში.

ფუნქციონირებას და გვხვდება გადაცდენების არაერთი შემთხვევა. გარდა აღნიშნულისა, საქართველო პოლიტიკური და სამთავრობო ძალების რევოლუციური ცვლილებების პროცესში ცხადად ჩანს თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ავტორიტეტებს ქართველი ერის არჩევანში. ზვიად გამსახურდია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამის პირველი მაგალითი იყო, თუმცა თითოეულ შემდგომ ლიდერს ქვეყანა იმედის თვალთ შეჰყურებდა. როგორც კი საზოგადოება გაიაზრებს, რომ კონკრეტული ლიდერი, იქნება ეს ბიძინა ივანიშვილი, მიხეილ სააკაშვილი თუ სხვა, ვერ ახერხებს “იბერიის გაბრწყინებას”, მომენტალურად აგდებენ მას პედესტალიდან და იწყება ახალი “მესიის” ძიების პროცესი. ეს კიდევ ერთხელ ასაბუთებს ნოოლოგიის პოზიციას, რომ ნებისმიერ მსგავს უწყებაში, როგორცაა სასამართლო, პროკურატურა თუ სხვა, აუცილებელია ნეიტრალურ მაგრამ საზოგადოების მიერ აღიარებულ ავტორიტეტებზე დაფუძნებული სისტემის შემოტანა. ეს თავის თავში არ ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი და კვალიფიციური სასამართლოს იდეას, რომელიც ევროკავშირის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს.

აღნიშნულზე დამატებით, თუ ვაღიარებთ, რომ ერთმანეთში ჩხუბი და დისკუსია წარმოადგენს ქართველების განუყოფელ ნაწილს, ცხადად გამოჩნდება, რომ პოლიტიკურად დაპირისპირებული პარტიები არ არიან ქვეყნის წინააღმდეგ განწყობილები, როგორც ამას მათ მათი ოპონენტები აბრალებენ, არამედ მათთვის ხშირ შემთხვევაში უბრალოდ გაუგებარია მეორე მხარის პოზიცია. ამ დაპირისპირებიდან გამომდინარე, მხარეებს აქვთ ერთმანეთის მიმართ მიუღებლობა და სრული უნდობლობა, რაც გამოიხატება ქვეყნის მიმართ ღალატის ბრალდებებში. გარდა ამისა, ქართული პოლიტიკური ელიტა დაცლილია იდეოლოგიური ნარატივისგან, რაც ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესების ინდივიდუალიზმის ჭრილში გადაყვანას. შესაბამისად, ინდივიდის დონეზე პიროვნულ მიმღებლობას და მიუღებლობას მივყავართ სრულ უნდობლობამდე და პოლარიზაციის მკვეთრ ზრდამდე. ქართული ერის რაობის ამ ასპექტების ანალიზი და გააზრება მოგვცემს შესაძლებლობას, რომ მაქსიმალურად შევამსუბუქოთ პოლიტიკური პოლარიზაცია და დავდგეთ თანამშრომლობის გზაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგია იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ მიუხედავად ქართული ბუნების განსხვავებულობისა სრულად შესრულდეს ევროკავშირის მიერ დაწესებული მოთხოვნები. ეს უფრო ცხადად ჩანს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ასოცირების პროცესის დაწყების დღიდან დღემდე განაგრძობს ევროკავშირთან შესაბამისობაში მოსვლას და ის სამართლებრივი ჩარჩო და კანონმდებლობა რომელიც იქმნება ასოცირების დღის წესრიგის

გათვალისწინებით, მოქმედია და საჭიროებს ეფექტურობის გაზრდას. ამავდროულ ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მსგავს ფსიქოტიკების ერ-სახელმწიფოს ნოოლოგიის მიხედვით ასევე წარმოადგენს ირლანდია, რომელიც წარმატებულადაა ინტეგრირებული ევროკავშირში.

3.2 საქართველოს ევროკავშირში გაწევრების შესაძლო შედეგები

ევროკავშირის წევრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები არაერთხელ იქნა განხილული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროკავშირის შიგნითაც. განსაკუთრებით ეს საკითხები და დისკუსია თუ რამდენად მომგებიანი და მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრობა წინა პლანზე გადმოვიდა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პერიოდში. 2014-2015 წლებში არსებობდა არაერთი ეჭვი, რომ ბრიტანეთის მაგალითს მიბაძვდნენ სხვა წევრი ქვეყნებიც. ამას საფუძველს უმყარებს ევროსკეპტიციზმი და ევროსკეპტიკოსების კვლევები ევროკავშირის სისტემის ზედმეტი ბიუროკრატიის, ქვეყნებისთვის დიდი ტვირთის, სუვერენიტეტის, ევროკავშირის ბუნების შესაძლო ცვლილების შესახებ და სხვა.

ეს მიდგომა და ევროკავშირის სკეპტიკური ნარატივის ცვალებადობა კარგად ჩანს შედარებით ახლავდაწევრებულ ქვეყნებში და 2003 წელს ჩატარებულ რეფერენდუმებში.

“გაფართოების წელს, იმ ადამიანთა წილი, რომელიც საკუთარი ქვეყნის წევრობას „კარგ მოვლენად“ განიხილავდნენ ევროკავშირის მაჩვენებელთან (48%) ახლოს იყო - ჩეხეთის რესპუბლიკაში (45 პროცენტი), ესტონეთში (52 პროცენტი), უნგრეთში (49 პროცენტი), პოლონეთში (50 პროცენტი), სლოვენიაში (52 პროცენტი) - მაშინ როდესაც ლატვიელები ნაკლებად ემხრობოდნენ ამ მოვლენას (40 პროცენტი).“ (Batory, 2018. p.393).

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის კანდიდატი და დღესდღეობით უკვე წევრი ქვეყნების მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები უჭერდა მხარს ევროკავშირში გაწევრებას, პროცესი მაინც დასრულდა. მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებისათვის ევროკავშირის წევრობის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა და ევროსკეპტიკური სენტიმენტების გააზრება.

გარდა ინსტიტუციური და პოლიტიკური მზაობისა, საქართველოში ხშირ შემთხვევაში ვხვდებით განწყობას, რომ პატარა ერი ვერ შეძლებს თავის დამკვიდრებას ამხელა ინსტიტუციის ფარგლებში. საერთაშორისო ურთიერთობების არაერთი მკვლევარი

საუბრობს და იკვლევს პატარა ქვეყნების როლს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ყველა წევრ ქვეყანას აქვს 1 ხმის უფლება და ევროკავშირი ცდილობს მის შიგნით აქტორებს შორის თანასწორობის პარიტეტის შენარჩუნებას. ამის მაგალითია ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ქვეყნის როტაციის წესი და “ტრიოს” თანამშრომლობის პრინციპი. კერძოდ, 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე შეიცვალა ევროპის საბჭოს პრეზიდენტის არჩევის და თანამშრომლობის წესი. ცვლილების თანახმად, ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა ირჩევა როტაციის წესით, და 3 ქვეყანა, რომელიც “ტრიოს” სახელითაა ცნობილი წერს 18-თვიან სამოქმედო გეგმას და თითოეული ქვეყანა წერს დამატებით დეტალურ 6-თვიან გეგმას და პრიორიტეტებს (European Council, 2020). ეს მიდგომა ამარტივებს ევროკავშირის მართვის, განვითარების და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში პატარა ქვეყნების ჩართულობას. თუმცა, ამავდროულად გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ გარდა ევროპის საბჭოსი, ევროკომისია და ევროპარლამენტი ორგანიზაციის წამყვან და მმართველ ინსტიტუტებს წარმოადგენენ, სადაც გავლენების მოპოვება და გაზრდა სირთულეებთანაა დაკავშირებული.

საქართველოს ევროკავშირის წევრის სტატუსის მიღებამდე საკმაოდ გრძელი გზა აქვს გასავლელი, რაც ვერ შემოიფარგლება 1 წლიანი სამოქმედო გეგმით. მაგალითისთვის გამოდგება თურქეთი, რომელიც 1999 წლიდან ელოდება წევრობას, ისევე როგორც მაგალითად, ბალკანეთის ქვეყნები, რომლებიც ათწლეულებია ასრულებენ წევრობისთვის სამოქმედო გეგმებს მაგრამ კვლავაც ელიან ევროკავშირში გაწევრებას. წევრობის პროცესის გახანგრძლივებას რამდენიმე მიზეზი აქვს, თუმცა მათგან ერთ-ერთი მთავარი იყო 2004 წელს განხორციელებული მასშტაბური გაფართოება, რომლის დროსაც წევრები გახდნენ: კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. ეს მასშტაბური გაფართოება საკმაოდ მძიმე ეკონომიკურ ტვირთად დააწვა ევროკავშირს, რის შემდეგაც 18 წლის მანძილზე მხოლოდ 3-მა ქვეყანამ შეძლო გაწევრება.

ევროკავშირი პირველ რიგში წარმოადგენს ეკონომიკურ გაერთიანებას. გარდა მისი საწყისი დანიშნულებისა, როგორც ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორობის ორგანიზაცია, დღემდე ევროკავშირის შიგნით ძირითად სათანამშრომლო სფეროს წარმოადგენს ეკონომიკა და საერთო ევროპული ბაზარი. ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება ხდება სამ ეტაპზე: (1) არსებობს საკითხები რომლებიც ექცევა სრულად ქვეყნების დისკრეციული უფლებამოსილების ქვეშ, როგორცაა მაგალითად სამხედრო განვითარება, საშინაო ბიუჯეტი, თავდაცვა, საპოლიციო ძალების

ნაწილი, განათლება და სხვა. (2) არსებობს საკითხები და სფეროები რომლებსაც ევროკავშირი და ქვეყნები იყოფენ ერთმანეთს შორის, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, საშინაო პოლიტიკის გარკვეული ასპექტები და სხვა; (3) მესამე ჯგუფს წარმოადგენს ისეთი საკითხები, რომლებზე დისკრეციაც სრულად აქვს ევროკავშირს. ესენია სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური საქმიანობა, მაგალითად მონეტარული პოლიტიკა და ევროზონა, მეთევზეობა, ნახშირის მოპოვება, სამეზობლო პოლიტიკა და სხვა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნებს აქვთ დათქმების გაკეთების შესაძლებლობა. მაგალითად, ბრიტანეთი მისი წევრობის მანძილზე არ შეუერთდა ევროპის ერთიან მონეტარულ ზონას - ევროზონას, ისევე როგორც უნგრეთი, და შეინარჩუნა საკუთარი ვალუტა. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ნებისმიერ ახალ წევრს აქვს არჩევანის შესაძლებლობა, რა ასპექტებში გახდება გაერთიანების წევრი და რა საკითხებს დაიტოვებს საკუთარი დისკრეციის ქვეშ.

საბერძნეთის ეკონომიკურმა კრიზისმა და ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცესმა კიდევ ერთხელ წამოწია წინ მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების და ქვეყნების მიერ ევროკავშირის შიგნით სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხი. გარკვეულწილად ეს წარმოადგენდა ბრიტანეთში ბრექსიტის მომხრეთა კამპანიის ძირითად მესიჯს, რომ ევროკავშირი გაცდა მის პირვანდელ დანიშნულებას და გახდა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც “ართმევს ქვეყნებს საკუთარ სუვერენიტეტს” (Taggart & Szczerbiak, 2018. p.1205). როგორც უკვე აღინიშნა, ბრიტანეთისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ევროკავშირის დატოვებისთვის იყო საბერძნეთის დეფოლტი, რომელმაც ძალიან დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა როგორც სრულიად ევროკავშირს, ისე უშუალოდ ბრიტანეთის ეკონომიკას. ეკონომიკური და სავაჭრო ბაზრის ამგვარი გადაჯაჭვულობა ერთი მხრივ მომგებიანია პატარა ქვეყნებისთვის, რომლებიც გარდა ევროკავშირის ბაზარზე წვდომისა, დიდი რაოდენობით ეკონომიკურ დახმარებას იღებენ ეკონომიკის განსავითარებლად, მაგრამ მეორე მხრივ საფრთხის შემცველია განსაკუთრებით ეკონომიკურად წამყვანი ქვეყნებისთვის.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ევროკავშირში ძალიან მაღალ დონეზეა პროფესიული კავშირების, გარემოსდაცვითი და პირადი მონაცემების საკითხები. დღესდღეობით ქართული ბიზნეს სექტორი არ არის მზად დააკმაყოფილოს ევროკავშირის მიერ წამოყენებული მოთხოვნები როგორც პროდუქციის ხარისხის, ისე საწარმოო პროცესის მხრივ. ეს საკითხი ნათლად გამოჩნდა ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების პროცესშიც, როდესაც მაგალითად შრომის უსაფრთხოების ინსპექციის ინსტიტუტის შემოღებას, ისევე როგორც სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო

ტექნიკური დათვალიერების შემოტანას ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა საზოგადოების მხრიდან. სწორედ ამისთვისაა შექმნილი ევროკავშირთან დაახლოების ინსტრუმენტები, რაც გაწევრების გზაზე ქვეყანამ უნდა გაიაროს. კითხვარების შევსების და შეფასების მისიების დანიშნულებას წარმოადგენს, ევროკავშირის სისტემასთან სრული და უმტკივნეულო ინტეგრაციის ხელშეწყობა და გაწევრების პროცესის გამარტივება ქვეყნებისათვის. თუმცა ამ პროცესში მთავრობის მხრიდან გასათვალისწინებელი იქნება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: (1) განსხვავებით ასოცირების ხელშეკრულებისა, გაწევრების პროცესში ვერ მოხდება ბრმად, მხოლოდ ფურცელზე კანონმდებლობის შეცვლა და დაახლოების პროცესის ხელოვნურად განვითარება; (2) ევროკავშირის ბაზარზე არსებული შრომითი რეგულაციები მძიმე ტვირთად დააწვება მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელიც ქართული დასაქმების ბაზრის საკმაოდ დიდ ნაწილს ქმნის. აქედან გამომდინარე, ცვლილებები უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ პროცესში ჩართული იყოს ყველა მხარე და გათვალისწინებული იყოს არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ადგილობრივი მეწარმეების ინტერესები და შესაძლებლობები.

გარდა ეკონომიკური კრიტიკისა და დიდ ბაზართან წვდომის შესაძლებლობისა, ევროკავშირში გაწევრების ერთ-ერთ მთავარ ასპექტს წარმოადგენს სუვერენიტეტი და თავდაცვის მექანიზმები. ევროკავშირის მოწინააღმდეგეები ჯერ კიდევ ბრექსიტის დროს საუბრობდნენ სუვერენიტეტის პრინციპის დარღვევაზე, რადგან მისი შექმნის შემდგომ მკვეთრად გაიზარდა ევროკავშირის კომპეტენციების დაფარვის ზონა. ეს რა თქმა უნდა, ტრადიციული სახელმწიფო სუვერენიტეტის მხარდამჭერებს აძლევს ეჭვების შეტანის საფუძველს, რომ ევროკავშირი შესაძლოა შემდგომ კიდევ უფრო გაფართოვდეს კომპეტენციების მხრივ და წევრი ქვეყანა დარჩეს როგორც ერთ-ერთი ნაწილი უკვე ერთიან სახელმწიფოსთან გათანაბრებულ აქტორად ჩამოყალიბებულ სტრუქტურაში. ამას ხელს უწყობს 2014 წლის შემდგომ არაერთხელ დაწყებული დისკუსია ევროკავშირის საერთო თავდაცვის სისტემის და სტრუქტურის შესახებ.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ევროკავშირში შემავალი ბევრი ქვეყანა უკვე ნატოს წევრია, რაც თავის მხრივ საკმაოდ მოცულობით ფინანსურ და სამხედრო კონტრიბუციას მოითხოვს. ევროკავშირის შიგნით მსგავსი ტიპის გაერთიანების შექმნა გამოიწვევს ე.წ. “spillover” ეფექტს, რაც გულისხმობს კომპეტენციათა დუბლირებას და ქვეყნებს დააწვებათ ორმაგი ხარჯი (Eilstrup-Sangiovanni, 2014. p.95). აქედან გამომდინარე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი უპირისპირდება ამ იდეას და მიუხედავად არსებული CSDP-სა, რაც თავდაცვის სფეროში წევრი ქვეყნების თანამშრომლობისთვის

შექმნილი პლატფორმაა, ევროკავშირი ნატოს მსგავს ორგანიზაციად გადაკეთება ამ ეტაპისთვის შესაძლებლად არ გვეჩვენება.

საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ საკითხის განხილვა, რომ რუსეთის მთავრობის რიტორიკის თანახმად, საქართველოს ევროკავშირში გაწევრება არ იქნება აღქმული როგორც საფრთხე რუსეთის უსაფრთხოების მიმართ (Averre, 2009. p.1707). შესაბამისად, საქართველოს ამბიციებს ამ მხრივ უსაფრთხოების რისკი არ მოჰყვება. თუმცა საფრთხე, რასაც ხშირ შემთხვევაში განიხილავენ, არის ის, რომ როგორც პატარა ქვეყანა ვერ შეძლებს ევროკავშირის შიგნით ინდივიდუალურ რეალიზაციას და მოხდება მისი იდენტობის აღრევა ევროკავშირთან. გარდა აღნიშნულია, ვიზალიბერალიზაციის შემოღების შემდგომ გაიზარდა მიგრაციული პროცესები ევროკავშირის მიმართულებით. გაწევრების შემთხვევაში მკვლევართა გარკვეული ნაწილი ხედავს დემოგრაფიულ საფრთხეს, რაც დაუკავშირდება იმას, რომ ბევრი ქართველი დატოვებს ქვეყანას.

ყოველივე ამ შესაძლო საფრთხეზე პასუხს გვაძლევს ზემოთ განხილული კვანტური რელატივისტური ნოოლოგია. ქართველების ნოოტიპური იდენტობის გააზრების და გათვალისწინების შემთხვევაში, ქვეყანა შეძლებს მისი შესაბამისი როლის და მისიის დამკვიდრებას როგორც ევროკავშირის შიგნით ისე საერთაშორისო არენაზე. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის ხაზგასმას და საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ აქტორად ევროკავშირის შიგნით დამკვიდრებას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება იმის გათვალისწინებაც, რომ ნოოლოგია იძლევა შესაძლებლობას იდეოლოგიური კუთვნილების მიერ ნაკარნახევი მოთხოვნების და სისტემური ცვლილებების განხორციელება იმგვარად, რომ დაცული იყოს ევროკავშირის მიერ წამოყენებული ძირითადი მოთხოვნები და ამავდროულად, თავიდან იქნას არიდებული შემდგომი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაცია.

ქართველის ერის ნოოტიპური იდენტობის გათვალისწინების შემთხვევაში და ქვეყნის შიგნით დროებით თანხმობის მიღწევის შედეგად შესაძლებელია რომ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო გახდეს არა მხოლოდ ევროკავშირის სრულყოფილი წევრი, არამედ საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო არენაზეც.

4. დასკვნა

წინამდებარე სტატიის ფარგლებში მიმოვიხილეთ, როგორც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების, ასევე ევროკავშირის დამოკიდებულების დინამიკა და განვითარების შესაძლებლობები რეგიონის მიმართ. დღესდღეობით ქართული მხარის ორიენტირი 2023 წლის ზამთრისკენაა მიმართული, როდესაც ევროკავშირის შეფასების შესახებ გახდება ცნობილი. ვინაიდან მთავრობამ, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, დაიწყო ევროკავშირის მოთხოვნების შესრულების პროცესი, გვაქვს მოლოდინი, რომ საქართველო მიიღებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, რასაც შემდგომში მოჰყვება სამოქმედო გეგმის შემუშავება და გაწევრების ხანგრძლივი პროცესი. თუმცა არსებობს მეორე შესაძლებლობაც, კანდიდატის სტატუსზე უარის თქმა, რაც უფრო მეტად შეარყევს მთავრობის პოზიციას და დიდ გზას გაუხსნის პროევროპულ ოპოზიციას.

გადაწყვეტილების მიუხედავად, უსამართლობის შეგრძნება საზოგადოებაში რჩება, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ევროკავშირისკენაც. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პროცესების გაჭიანურებამ შესაძლოა “უკუშედეგი” გამოიწვიოს დასავლეთით მომხიარული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტისათვის, რადგან საქართველო ამ სკეპტიციზმის გათვალისწინებით შესაძლოა უფრო მეტად რუსეთისა და აზიისკენ გადაიხაროს.

დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს და ევროკავშირის მრავალწლიანი და მრავალშრიანი ურთიერთობის გათვალისწინებით, გაწევრების პროცესის დაწყება ლოგიკურ გაგრძელებად მიგვაჩნია. თუმცა, გაწევრების შემთხვევაშიც ორ მოსალოდნელ სცენარს უნდა ველოდოთ: (1) საქართველო გახდება რიგითი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა, მისი შეზღუდული გავლენებით და განვითარების პერსპექტივით, (2) ან შეძლებს მისი ფსიქოტიპის შესაბამისად პოზიციონირებას, ქვეყნის განვითარებისა და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას. პირველი შემთხვევა გარკვეულწილად საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის, რადგან ის თავის თავში გულისხმობს ქვეყნის ნიშის, ინდივიდუალიზმის გარკვეულწილად დაკარგვას და ერთიან “ევროპულ” სივრცედ ჩამოყალიბებას, რაც პატარა ქვეყნებს ემართებათ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. მეორე შემთხვევაში კი, საქართველომ უნდა შეძლოს მოირგოს მართვის მანიის ნოტიპის პოზიციას და შეითავსოს მომლაპარაკებლის როლი ორგანიზაციის შიგნით, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას და ურთიერთობებს წევრ ქვეყნებს შორის. ეს უკანასკნელი საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის.

გამოყენებული წყაროები

1. Al Jazeera. (2022, June 20). “Thousands rally in Georgia in support of EU membership bid.” *Al-Jazeera*. Retrieved on August 15, 2022, from: [Thousands rally in Georgia in support of EU membership bid | European Union News | Al Jazeera](#)
2. Netgazeti. (2022, 20 ივნისი). “რამდენი ადამიანი იმყოფებოდა აქციაზე “შინ, ევროპისკენ”.” *Netgazeti*. ამოღებულია 2022 წლის 15 აგვისტოს <https://netgazeti.ge/life/616875/>-დან.
3. European Commission. (2022b, June 17). “Opinion on the EU membership application by Georgia.” *Memo: Georgia (Europa.eu)*. Retrieved on August 20, 2022 from https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800.
4. ზალკალიანი, დ. (2020) “მზად ვართ 2024 წელს გავაკეთოთ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე - დავით ზალკალიანი.” *საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო*. ამოღებულია 2022 წლის 16 სექტემბერს, <https://mfa.gov.ge/News/mzad-vart-2024-cels-gavaketot-ganackhadi-evrokavsh.aspx>-დან.
5. Embassy of Georgia to the United States of America. (2018). “Chronology of major events of Georgia- EU cooperation.” *The Embassy of Georgia to the United States of America*. Retrieved on September 20, 2022, from: <https://georgiaembassyusa.org/wp-content/uploads/2018/01/Chronology-of-Major-Events-in-Georgia-EU-Cooperation.pdf>
6. Eastern Partnership Civil Society Forum. (2022). “What is EAP index?” *Eastern Partnership Civil Society Forum*. Retrieved September 1, 2022, from <https://eap-csf.eu/what-is-eap-index/>
7. Eastern Partnership Civil Society Forum. (2020). “Eastern Partnership Index Linkage 2018-19 - EAP CSF.” *EaP Index Linkage 2018-2019*. Retrieved October 19, 2022, from https://eap-csf.eu/wp-content/uploads/EaP-Index_Linkage-2018-2019.pdf
8. Eastern Partnership Civil Society Forum. (2021). “Eastern Partnership index 2020-21 - EAP CSF.” *EaP Index 2020-2021*. Retrieved October 19, 2022, from <https://eap-csf.eu/wp-content/uploads/EaP-Index-2020-2021.pdf>
9. Transparency International The Global Coalition Against Corruption. (2021). “CORRUPTION PERCEPTIONS INDEX - 2021.” Retrieved October 1, 2022, from <https://www.transparency.org/en/cpi/2021/index/rou>.
10. Vasquez, I., McMahon, F., Murphy, R., & Schneider, G. S. (2021). “The Human Freedom Index 2021.” *CATO Institute*. Retrieved October 1, 2022, from <https://www.cato.org/books/human-freedom-index-2021>
11. ყაველაშვილი, მ. et al. (4 ივლისი, 2022). “დეპუტატები: დეკემბერში მისაღები გადაწყვეტილება უკვე მიღებულია – სტატუსს არავინ მოგვანიჭებს.” *ტაბულა*.

- ამოღებულია 2022 წლის 10 ოქტომბერს, <https://tabula.ge/ge/news/688632-deputatebi-dekembershi-misaghebi-gadacqvatileba> - დან.
12. ჩხიკვაძე ი. (27 ივნისი, 2022). “რას იღებს ქვეყანა იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ენიჭება - ვრცლად, ვანო ჩხიკვაძე” ინტერვიუ. TV Formula. ამოღებულია 2022 წლის 10 აგვისტოს, https://www.facebook.com/watch?ref=search&v=403416051844187&external_log_id=1091163f-49a6-451c-95ff-2404876391a8&q=%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-დან.
 13. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. (7 სექტემბერი, 2022 წ.). “ერთობლივი განცხადება პრესისთვის საქართველოსა და ევროკავშირის შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის შესახებ”. *ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში*. ბრიუსელი. ამოღებულია 2022 წლის 1 ოქტომბერს [ერთობლივი განცხადება პრესისთვის საქართველოსა და ევროკავშირის შორის გამართული ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომის შემდეგ | EEAS Website \(europa.eu\)](http://www.eeas.europa.eu/eeas/press_corner/20220907-georgia-association-council-meeting-7th-session-press-statement)-დან.
 14. ევროკავშირის საგარეო მოქმედებების სამსახური (EEAS). (19 აპრილი, 2021წ.). “A Way Ahead for Georgia.” ამოღებულია 2022 წლის 16 აგვისტოს [210418 mediation way ahead for publication 0.pdf \(europa.eu\)](https://eeas.europa.eu/media/2021/04/19/210418-mediation-way-ahead-for-publication-0.pdf)-დან.
 15. ტვ იმედი (28 ივლისი, 2021წ.). „ქართულმა ოცნებამ“ შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირება მოახდინა, რაც ნიშნავს იმას, რომ თვითმართველობის არჩევნებზე 43%-იანი ბარიერი გამოირიცხა.” *TV Imedi*. ამოღებულია 2022 წლის 10 აგვისტოს <https://fb.watch/ggTL0XAlpC/>-დან.
 16. European Commission. (2022a, April). “Questionnaire - radio free europe/radio liberty. Questionnaire.” *European Commission*. Retrieved October 16, 2022, from <https://docs.rferl.org/ka-GE/2022/04/15/8b1ffa82-e3c2-4cb3-b822-d9b2cb700e28.pdf>
 17. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (3 ივლისი, 2022). “12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისკენ.” *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო*. ამოღებულია 2022 წლის 18 აგვისტოს [12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო \(transparency.ge\)](https://www.transparency.ge/en/12-steps-to-candidate-status-for-georgia)-დან.
 18. Batory, A. (2018). “EU referendums in the ‘new’ member states: politicisation after a decade of support?” In *Routledge Handbook of Euroscepticism* (1st ed., pp. 256–267). essay, ROUTLEDGE.

19. European Council. (2020). "The presidency of the Council of the EU." ამოღებულია 2022 წლის 16 ოქტომბერს [The presidency of the Council of the EU - Consilium \(europa.eu\)](https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2020/10/16-council-presidency/)-დან
20. Taggart, P., & Szczerbiak, A. (2018). "Putting Brexit into perspective: The effect of the eurozone and migration crises and Brexit on euroscepticism in European states." *Journal of European Public Policy*, 25(8), 1194–1214. <https://doi.org/10.1080/13501763.2018.1467955>
21. ხვიჩია, ემზარ. (2020). "ნოოლოგია თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები" (Vol. 1). ახალი პარადიგმა.
22. Brânda, O. (November, 2019). A SEA OF TROUBLE. BLACK SEA SECURITY POLICIES BETWEEN NATO AND THE EUROPEAN UNION. The 14th International Scientific Conference "DEFENSE RESOURCES MANAGEMENT IN THE 21st CENTURY". კონფერენციის ორგანიზატორი: National Defense University "CAROL I" Regional Department of Defense Resources Management Studies.
23. საქართველოს მთავრობა. (28 აპრილი, 2017). "ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე". ამოღებულია 2022 წლის 20 სექტემბერს: [ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" \(matsne.gov.ge\)](https://matsne.gov.ge/ka/press/2017/04/28/1)-დან.
24. Yazgan, H. (2017). "Black Sea Synergy: Success or failure for the European Union." *Siyasal Bilimler Dergisi*, 5(Özel Sayı), 67–78. <https://doi.org/10.14782/sbd.2017.57>
25. Uznarodov, D. I., & Uznarodov, I. M. (2018). "Black Sea region in the strategy of the European Union in the XXI century." *Science Almanac of Black Sea Region Countries*, 16(4), 42–51. <https://doi.org/10.23947/2414-1143-2018-16-4-42-51>
26. Kubosova, L. (2006, March 31). "Sarkozy calls for definition of 'borders of Europe'." *EUobserver*. Retrieved October 16, 2022, from <https://euobserver.com/eu-political/21278>
27. Shanava, Z. (2021). "Integration policy of Georgia in the European Union into Transport Network Development." *InterConf*, 13–18. <https://doi.org/10.51582/interconf.21-22.12.2021.002>
28. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (13 მაისი, 2017). "საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა." *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*. ამოღებულია 2022 წლის 16 ოქტომბერს

<http://www.economy.ge/?page=news&nw=180&s=sqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-shesaxeb-xelshekruleba-gaformdeba>-დან.

29. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (20 ივნისი, 2022წ). “საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წლის იანვარი-მაისი (წინასწარი).” *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. ამოღებულია 2022 წლის 16 აგვისტოს [საქართველოს-საგარეო-ვაჭრობა---2022-წლის-იანვარი-მაისი.pdf](#) (geostat.ge)-დან.
30. Grdzeldze, K. (2015). “The Association Agreement between Georgia and the Eu What does the future bring?” (Dissertation submitted for obtaining Master’s Thesis). *Katholieke Universiteit Leuven*. Leuven.
31. Eilstrup-Sangiovanni, M. (2014). “Europe’s defence dilemma.” *The International Spectator*, 49(2), 83–116. <https://doi.org/10.1080/03932729.2014.910728>
32. Averre, D. (2009). “Competing rationalities: Russia, the EU and the ‘shared neighbourhood.’” *Europe-Asia Studies*, 61(10), 1689–1713. <https://doi.org/10.1080/09668130903278918>

დანართი A

ევროკავშირის მიერ დაკისრებული კრიტერიუმები - საქართველო, მოლდოვა, უკრაინა				
კრიტერიუმები		საქართველო	მოლდოვა	უკრაინა
1	სასამართლო რეფორმა, ვენეციის კომისიის დასკვნების გათვალისწინება	✓	✓	✓
2	იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უკრაინის მოსამართლეების უმაღლესი კვალიფიკაციის კომისიის კანდიდატების შერჩევის პროცესის დასრულება			✓
3	კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება	✓	✓	✓
4	ფულის გათეთრების კანონმდებლობის FATF-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა (უკრ: სამართალდამცავი უწყებების სრული რეფორმის განხორციელება)	✓	✓	✓
5	პლურალისტური და სხვადასხვა ინტერესებისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი მედია გარემოს შექმნა	✓		✓
6	ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების შესახებ რეფორმის დასრულება			✓
7	დეოლიგარქიზაციის ვალდებულების განხორციელება (უკრ: ანტიოლიგარქიული კანონის აღსრულება)	✓	✓	✓

8	საჯარო მმართველობის რეფორმის განახლება		✓	
9	საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დასრულება		✓	
10	სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება	✓	✓	
11	ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება (მოწყვლადი ჯგუფები, გენდერული თანასწორობა)	✓	✓	
12	პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის მოგვარება	✓		
13	სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება, საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება	✓		
14	ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება	✓	✓	
15	კანონმდებლობის მიღება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გასათვალისწინებლად	✓		
16	ომბუდსმენის ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა	✓		